საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3367
08/05/2023

3367-21-2-202305081653

შპს „იორკ თაუნს“
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რ-ნი,
ფარნავაზ მეფის გამზირი, №51, ბლოკი A, საოფისე ფართი №6ა
ელ. ფოსტა: m.baghdinovi@gergili.ge r.enukidze@gergili.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2437 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფ. ტაბახმელას მიმდებარედ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი დოკუმენტის 2.2.2.1 ცხრილში (გვ. 19) მოცემული სამეურნეო და საყოფაცხოვრებო წყლის ობიექტებში ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია შეწონილი ნივთიერებებისათვის საჭიროებს დაზუსტებას, ასევე ცხრილში მოცემული უნდა იყოს მხოლოდ ის ნივთიერებები, რომლებიც შესაძლოა არსებობდეს გამწმენდიდან გამოსულ ჩამდინარე წყალში;
- სკრინინგის განცხადების 2.2.2.1 ცხრილში (ჩამდინარე წყლების პარამეტრები) მოცემული მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციის მაჩვენებლები ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის შესასვლელში არ შეესაბამება გასუფთავების შემდეგ ჩამდინარე წყლის კონცენტრაციის მაჩვენებლებს (გამწმენდის ეფექტურობას);
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია დაბინძურებული წყლის გამწმენდ ნაგებობამდე და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან წყალჩაშვების წერტილამდე მიყვანის ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ (მილების სიგრძის და დიამეტრის მითითებით, მიწისქვეშა/მიწისზედა);
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს ჩამდინარე წყლის მიმღები წყლის ობიექტის (მდ. ჩაჩიკანთხევის) ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოების დროს გამოსაყენებელი ტექნიკის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს გამწმენდი დანადგარის მოდელი და საპასპორტო მონაცემები (სახელმწიფო ენაზე);

- წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია საკანალიზაციო ქსელი, შესაბამისად, დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს საკანალიზაციო ქსელის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის მოწყობის თარიღი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო